



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაზუთი. ზაზულის ყოველ კვირა ღმს.

№ 45.

ნოემბერი 20, 1894 წ.

№ 45.

**შინაარსი:** უმაღლესი მანიფესტის განმარტება, — „ივერია“, „მოიპე“ და „შესამე დასი“ (დასასრული) ყარაბისა, — საყურადღებო ამბები. — პასუხი ღ. ქსი, რუსთაფერლისა. ფიჭვი და შენაშენა ღ. წ. — საგანმაცხოვრებელთა შეწყვეტი. — დოდა-შვილისა. — ლოცვა. (ღერმონჯოვიდან) ღმერთ დეტუ შეგრჯლისა. — „ივერია“ № 201 და შევედვა წერილი რედაქციასთან ვაჟა-ფშაველასი. — ბარჯანი ვე ნინოშვილისა. — პასუხად ბან დოლიძისა გადმოსაქვედი „ივერიდან“ — განცხადებები

### უმაღლესი მანიფესტის განმარტება.

**წ**რილოეთის ღებშათა სააგენტო“ მოკლეთ გვატყობიებს უმაღლესი მანიფესტის შინაარსს, რომელიც ხელმწიფის ქორწინების დღეს ნოემბრის 14 გამოიცა. რადგანაც განსვენებული ხელმწიფის მანიფესტის ზოგიერთმა მუხლმა შეიძლება განმარტოს ახლანდელი მანიფესტი, ვაზეთ „ნოე. ობოზ.“ დაუბეჭდია უმთავრესი მუხლები ძველი მანიფესტისა:

1) ეპატიოთ ყველა გადასახადი ვისაც არ შეუტანია: იმპერიაში კაცის თაზე შემოღებულთ, კომლუერათ ყუბანისა და თერგის ოლქში, ნადელის გამოსასყიდი ყოველ გეარ გლენებთა, სახელმწიფო გლენებს სატყეო გადასახადი.

2) ეპატიოთ ჯარიმა, სოფლებისა და ქალაქების უძრავ მამულებზე აგრეთვე სახელმწიფო საადილ-მამულო გადასახადი.

3) ეპატიოთ შეუტანელი სარგებელი და ჯარიმა აკციზისა და ფუთებრივ პარილის გადასახადისა.

4) ეპატიოთ ეპრობისა და მრეწველობის შეუტანელი გადასახადი.

5) ეპატიოთ შეუტანელი ფული გამიჯენის გემებზე, ორდენებზე და ჯამაგრების მომატებაზე.

6) ეპატიოთ თავად აზნაურებს სამინისტრო სასწავლებლების პანსიონებში მათი შვილების შესანახაზე დარჩენილი გადასახადი.

7) ეპატიოთ სახელმწიფო გლენებს ვალი სახელმწიფო ხაზინის და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი ოდესმე სესხთ გატანელი.

8) ნულარ გადახდებთ თავდაზნაურებს თავის წინანდელ სახელმწიფო საერობო გარდასახადის ფულიდან დარჩენილი ვალი სათავად-აზნაურო საკირობისათვის.

9) ეპატიოთ ხაზინაში დროზე შეუტანელ სესხის სარგებელი.

10) ეპატიოთ შესატანი ფული და სარგებელი აღებული უბედურ შემთხვევებში.

11) ყველა დანარჩენი შესატანი ფული (საღამოქრო, სწერობო და სხვა) კანონისამებრ გარდახდეთ.


12) ეპატიოთ ზარალი და დანაკარგი, რომ-

ლის გამო სასამართლოში საქმე ჯერ არ დაწყებულა ან არ დამთავრებულა: და რომელიც 300 მანეთს არ აღემატება.

სისხლის სამართლის მცირე დანაშაულობანი სრულიად ეპატიოთ, ხოლო მცირე დანაშაულობა გამო: გაკარცისა, ქურდობისა, სიყალბისა და სხვა ერთი ორათ შემეცირათ ედა ხანგრძლივობისა, რომელნიც ციხიბრში არიან გაგზავნილი საზოგადოებათა გადაწყვეტით, თუ რიგვანათ მოიქცევიან ნება მიეცემათ სამაწლის შემდეგ გადავიდნ

საკანონრებლათ სხვა გუბერნიასა და საზოგადოებებში, იმ ადგილების გარდა სადაც არიან დახოხონილი.

შეუსუბუქდათ სასჯელი აგრეთვე სახელობილო დანაშაულები მანიფესტის ძალით, ზოგიერთს განიხულებს ნება ეძლევათ რუსეთში დაბრუნდნ, მითულებს სხვა-და სხვა დროს ადმინისტრაციულ წესით გაიყვებულთ, კაცკასიაში მომხდარ არეულობებში მონაწილეობისათვის სრულიად ეპატივებათ დანაშაულები.



„ივერია“ „მიამბე“ და მესამე დასი.

II

(ცოტა რამ „მიამბის“ კრიტიკის, ბ. ნა—ლის)



ლესის<sup>1</sup> ქული აზნაურსაც გამოადგებაო, თუ ეს მართალია, ბ. ნა—ლზედაც იგივე შეიძლება ითქვას, რაც კაერემენზე... მართალია, ეს უკანასკნელი უფრო გამოადელი რაინდი ბძანდებამაგრამ ამ შემთხვევაში ვერც იმას გამოუჩენია მეტი დაკვირება, ცოდნა და გულ-წრფელობა. ისიც იმავე გოხის სხენზე მჯდომარე რაინდის მზავესათ<sup>2</sup>, „განუსტენე უფალო“—ს გაიბახის. კაერემენზე ნაკლებათ არც ეს ეფუბატონი დაუფრთხია „მესამე დასის“ გამოჩენას..

„როგორ, ნუ თუ ეს მოსთქენია, რომ ვიდრე ასე-დამოწმებები უარს-ჭყოფენ ძველს ინტელექტუალურებს ნუ თუ ეს მოსთქენია, რომ ვიდრე „მესამე დასი“ ხელს დაუძინებელ შტრამ იქვე მოდგა-წყობისა? თუ ამ ბოლონა პაფონტოვს“

უუქრია ბ. ნა—ლის და ძველთ ბინარნიკის ხრიკებისთვის მიუპართავს... ეს უკანასკნელი დინახავს თუ არა, რომ იმას აწ სამხატურმო აღარ ედგომება და დღეს თუ არა, ხელო კარებისკერ გაუშვებრნ ხელს... ის თითონ აძლევს დახოხონის ქაღალდს და მიზეზი, რომ ჰკითხოთ უეჭველათ მოგიყვებათ, რომ ასეთ საზოგადო დაწესებულებებში პატროსან აღმამან არ ედგომებო და სხვა... დიღ, ასე მოსვლია, ბ. ნა—ლსაც, გაუგვია თუ არა, რომ ეს „მესამე დასი კრიტიკულათ შეწყურებს ძველთა მოღვაწეთა მოქმედებას, თავის თავზედაც იქვი შეპაროვა: „გარეთ გავდებას, თავისით ვასვლა გობსო“ უფუქრია და თუ-თონე დაუწყია „გოციობილი კვანტები“ ამიტომაც ამ „მესამე დასს“ კვალში ჩადგომია, რაც მის შესახებ დაწერილა და რაც მის წარმომადგენელთ დღემდე უმოძიერნათ, დიდი

გულ-მოდგინებით გადაუციხხავს, მაგრამ თავის დასამუწხაროთ (თუ საბედნიეროთ?) იმის მეტი ვერაფერი გაუგია, რომ ამ „მესამე დასს“ მესამე დასი რქმევეა (კურსიგი ბ. ნა—ლის არის)... მაგრამ ჭკუა-მახვილი მწერალი თავის საბუილოს ყველაგან გამომძინის და ბ. ნა—ლსაც; რაკი „მესამე დასისთვის“ წესის ასავებათ მეტი ვერაფერი უპოვინია, მეცნიერების აზნანის უცოდინარობა მაინც უტყვირებია და შემდეგ ბ. ნ. წერეთელს ცემა ყელში. \*)

ყველაზე უფრო ის აბრაზებს ბ. ნა—ლს რომ გ. წერეთელი, ეს ოცდათა წლის წინათ სამწერლო და სამოღვაწო ასპარეზზე გამოსული გ. წერეთელი, მხარს უჭერს „მესამე დასს“, რომელიც ყველა ჩვენ „ძველ მოღვაწეებს“ უარსა ჰყოფსო დიღა, ეს ძლიერ უყვირს ბ. ნა—ლს, მაგრამ ვარწმუნებთ, რომ აქ საკვირველი არაფერია: „მესამე დასს“ დაუნახავს თუ არა, რომ ჩვენი „ძველი მოღვაწეები“ რაღაც პირადი ინტერესებით გატაცებულნი, პირს არიდებს ხალხს (ჩვენ აქ „ხალხს“ ვანუჩრველათ წოდებხას ეხმარობთ) და რაღაც წოდებრივ ინტერესებს იფარავს, უარს უყვია ძველი მოღვაწეების ასეთი მოქმედება და „რახმათ დაწყობილა, რომ ხალხში შეიტაროს განათლება, ხალხს გვერდით უდგვს ქირსა და ღმინში, უჭკიმოს, წამაყენოს; მაგრამ ამ დროს ამ სწეულის-სარეცელთან დაუნახავს მოხუცი ექიმი, რომელიც მამამვილთის მზრუნველობით უვლის, ულოლიაივებს სწეულს...

\*) ჩვენ ამ წერილში აზრათ არ გვაქვს გ. წერეთლის დათარგმნებულ ნაწილსაც. რადგანაც ეს საჭირო არ არის და შეილება ბ. ნა—ლს ჩვენსეც იგივე „დასს“ გაცას დაუპირფოს, მაშინ უნდა მას და თვისიოა თქვს როგორც ბ. ნ. ჰეტრიაზე. ჩვენ მხოლოდ გვარით შეგუქნებით ბ. ნ. წერეთელს და „მესამე დასის“ დამოკიდებულებას.

ავტ.

რა თქმა უნდა, ასეთი ვარგობა „მესამე დასსაც“ ესიაშიონებოდა და მძურ ხელს მიტყდა ასეთ ექიმს და მისთვის სულ ერთი იყო, გიორგი იქნებოდა ის, თუ თვითონ ნა—ლი, აქ აზრების შეთანხმებაში გახლავთ საქმე და არა წლოვანებაში. მართლაც ასეთი მოქმედებისთვის „მებერი ახალგაზღვის“ სახელიც დანათლეს გ. წერეთელს, მაგრამ, თუ გნებავთ, ესეც შეიძლება: ნუ თუ დღეს ჩვენში ცოტა მაგალითებია იმისი, რამ კაცი ხნით ახალგაზდა იყოს და აზრებითა და მიმართულებით კი რადენიმე ხნითა და დამთო უკან იდგეს თავის დროზე? სამწუხაროთ, ჩვენში შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი ახალგაზდები, რომელიც ჯერ უნივერსიტეტის კედელს არ მოშორებია (მაშასადამე წლოვანობით ახალგაზდები არიან) და აზრებით კი „ჩვენთა მოღვაწეთა უკან დახეულ მოძღვრებს“ და იმ წოდებრივ ინტერესებსაც ევლარ ვაკლებიან, რომელსაც ევროპა რომ არ მოვისენოთ, რუსეთის უკეთესმა ახალგაზდობამ მესამოცე წლებშივე მოუღო ბოლო. რომ მკითხველმა უსაბუთოთ ლაპარაკი არ დაგეჴმას, რომელითსათვის დავასახელებთ მხოლოდ იმათ, რომელთაც სალიტერატურო ასპარეზზედაც ვაგვიცენეს თავი: აბა, თვლით ვადავლებთ ბან კიტას ნაწერებს, თუ იქაც ბ.ბ ნიკოლაძისა და მველეს შიერ ნამოძღვრი „თავდა-ახანურობის ფესზე წამოყენება“ არ არის?... მოიგონეთ ბან ილ. პონტეღლის წერილები, რომელშიაც გუნდრუქს უკმედა „იერიის“ მეთაურს და ნიკოლაძეს. თვლით ვადავლებთ ყველა ამას და დარწმუნდებით ჩვენი სიტყვების სინამდვილეში. მაშასადამე, თუ „მებერი ახალგაზდები“ არიან, „ახალგაზდა ბებრებიც“ ყოფილან... ჰავს, შეიძლება კაცი წლოვანებით ახალგაზდა იყოს და აზრებით კი საიკიოსაკენ ვაიყურებოდეს; შეიძლება წინააღმდეგიც და სხ...  
ახლა საქართველოში მიგვაჩნია ორიოდ სიტყვა ჩვენ „ძველ მოღვაწეებზედაც“ ეთქვათ და შემდეგ ბანი ნა—ლის მეცნიერებას დაუბრუნდეთ:

როგორც თვითონ ბანი ნა—ლიც მოწმობს თავის წერილში, ამ „მესამე დასზე“, გარდა „კელოში“ დაბეჭდილი ცნობებისა, ჩვენმა ლიტერატურამ ჯერ ჯერობით მეტი არაფერი იცის. დამერწმუნებით, რომ ეს მკირეოდენი ცნობები საქმია არ არის მთელ ახალთაობაზე აზრის შესაღწევით; აქ მხოლოდ წარმოთქმულია კრიტიკული შეხედულება „ძველ მოღვაწეებზე“ და გატარებულია ის აზრი, თუ რას და როგორ უნდა ემსახუროს ახალგაზდობა. ჯერ მხოლოდ ყვეილი ნახა ჩვენმა საზოგადოებამ და დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ყვეილს ნაყოფიც მიხსეული და მომავალი

დროის შესაფერი მოყვება... მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი პატივცემული მოღვაწეები ძლიერ გავაგონებენ იმ ეიწრო თვ-მოყვარე მშობელს, რომელსაც ეუბნებიან: შენ შენი შეილი გავაჯერებს; ის არ კმაყოფილდება იმ ეიწრო წრითა და ფარგლით, რომელსაც შენ ემსახურებოდა და ის კი (მშობელი) გაიძახის: არა, ჩემი შეილი სიყვლის ღირსია! როგორ თუ ის ბედავს ჩემი აზრების წინააღმდეგობასო? და სხვა... დიად, ძნელი წარმოსადგენია ასეთი მშობელი, ამას მოწმობს თვით ხალხის სიბრძნეც: „ის ურჩენია მამულსა, შეილი რომ სჯობდეს მამასო“, მაგრამ ზოგიერთ ჩვენ კრიტიკოსებს ეს სიბრძნეც დაუეწყნათ... მართალია დღესაც ხშირათ შეხედვებით ისეთ სოფლის მღელღოს, რომელიც ყოველ ზნეობრივად და იურიდიულ ღონეს წმარობს, რომ თავისი ახალგაზდა, განათლებული შეილი დაითანხმოს და თავის ადგილზე აკურთხებინოს; ასეთი მშობელი უბედურათ ჩათვლის თავს, თუ სურვილს ვერ მიწვდა და მანაც არ იქნება კმაყოფილი მინისტრთაც რომ ნახოს თავის შეილი... ვინ არ იცის, რომ ასეთი სურვილი ერთობ დესპოტურია, მაგრამ კერძო ცხოვრებაში კიდევ შეიძლება ადგილი მიეცეს; ხოლო თუ მთელი ერის განუზრებელ ზდასა და წარმატებაში ესევე მახდა, ეს კი ვერაფერი შეილი იქნება. სოციალურ ზდასთან უნდა ახდეს აზრების თავისებურობაც, სხვა-და-სხვაობაც და მხოლოდ ამ სხვა-და-სხვაობის შეწონ-შეუპარებასა და შეემათებას შეუძლია ხალხის წინ წაწევა ზნეობრივათ და ქონებრივათ... საუბედურათ ეს ვერ გაუგიათ ზოგიერთ ჩვენს კრიტიკოსებს და იმათ შორის ბანი ნა—ლის; ისინი დიდ მამაკედინებელ ცოდვათ უთვლიან ახალთაობას თავისი აზრის გამოთქმას ამა თუ იმ საგანზე და, თავის და უზნებურათ, ცნობილ ტორკევიანებზე ნაკლებ სიმკაცრეს აღარ იჩენენ. ბევრი მაგალითი ვიცით იმისი, რომ ტორკევიანა რელიგიისა და სჯულის სხვა დასხვაობისთვის ასე მკაცრათ არ მოკიდებოდეს დამნაშავეს, როგორც ბანი ნა—ლი... მაგრამ უშიშროთაც გძელი წერილი, რომ უფრო არ გაეაქიანოთ, ბანი ნა—ლის მეცნიერებაზე ვადავლებთ.

ეს მეცნიერებაზე მყვირალა ვაჴ-ბატონი ძლიერ გაუჯაერებია ბან ჯიბლაძის სიტყვებს; „ჩვენში ბურჴუ-კაპიტალისტები გამეფებულანო“ და განკეიფრებით კითხულობს:

„ნუ თუ ჩვენმა კაპიტალისტური წეს-წყობილება ასუბნებს, როცა ჴმსსენია და ფარაქება არა გაქება და ანც ერთ წამსიასაში მამსენებს არ გამარბათო“ და სხ...  
და ასეთ კითხვებს შეძვედ ეს მყვირალა მწე-

რალი რალაც უკმეხი მედიდურებით გაიძახის:

„არც ჩვენის ცხოვრების სისათა გაქმსთ განცო-  
ბილი, არც ვეროპის და არც ის იგიეთ კამიტლის-  
ტურნი წეს-წყობილება რა თვისებისა და ბუნებისა  
და სჭირთა მქენიერების ანანი გაიხეზიროთო...  
გონებრივი ზღა-დაიღვა მქტის-მქტი ნაჯღუბი გაქმსთ  
და თოთიუშმეიეთ გაისათ რაც აქა-იქ გსმნათ და  
შეთვისებთთ კი ვერ შეგათვისებათო“, (ასეთი ტირა-  
ლის ავტორი ლიტერატურულ ზრდილობაზედაც  
ელაპარაკება მკითხველებს): „უშეგრება, კანდაერება  
და შედიდურება, რომელსაც „მესამე დისის“ მქრად-  
ნი იქნენ, მქრადობაში უოჯად შეუწყნარებულაო“  
ოჰ, ჩვენში ჯერ-ცმული ზდილობავე და პა-  
ტიონსებაჲ! შენ რომ ფეხები გქონდეს ცხრა-მთას  
იქით გადაიბრუნდი და ნა-ლისთანა კრიტიკო-  
სებს კი არ აწეაღებინებდი თავს!)

გადამეტებული არ იქნება ეთქვათ, რომ იმ  
კაცს, რომელსაც კაპიტალისტური წეს-წყობილე-  
ბა და ეკსპლოატაცია, უქარხნოთა და უფაბრიკოთ  
ვერ წარმოუდგენია, არა თუ საეკონომიო მეცნიე-  
რების ანანი არ ცოდნია, ისიც კი ვერ გა-  
უგია, საჭმელია თუ სასმელი ეს მეცნიერება. თუ  
ბ-ნ ნა-ლს დაუჯერეთ, ბედნიერები ეყო-  
ფილვართ; ფაბრიკები და ქარხნები არ გქო-  
ნია და, არც კაპიტალისტური წეს-წყობილება გვე-  
ქნება. თუ ასეა, ჩვენს ქვეყანაში ფაბრიკებსა და  
ქარხნებს ნუ გავაჭაჭანებთ და თავიდან ავიცილებთ  
იმ საშინელ სენს, რომელთან ბრძოლასაც დღეს  
მთელი კაცობრიობის უკეთესი ნაწილი ალვის მთელ  
თავის ძალ-ღონეს...

ამ საშინელ სენს დღეს ჩვენშიაც გამოუშვე-  
რია თავისი ძლიერი ხელები და დღით-დღე მიაქვს  
აუარებელი მსხვერპლი საწყალი ხალხიდან... ამას  
დღეს ჩვენში ბრმებიც კი გრობონენ, ვარდა ბ-ნ ნა-  
ლისა და საზოგადოთ იმ ეფა-ბატონებისა, რო-  
მელნიც არხენით მოსხდომიან „საზოგადო ხაჭა-  
პურს“ და თავის ცხვირის მეტს ევრაფერს ხედ-  
ვენ. დიად, ბანკებისა და სხვა საზოგადო დაწესებუ-  
ლების ჩრდილ-ქვეშ მხარ თქვოზე წამოწოლილ

კრიტიკოსებისთვის ჯერ ბნელით დაფარულია ეს  
„კაპიტალისტური“ წეს-წყობილება; ამას მხოლოთ  
„თავები“ გრობონენ და არა „ნა-ლები“... ჩვენ რომ  
კაპიტალისტური წეს-წყობილების საწონ-საზომით  
მართო ქარხანა-ფაბრიკები მიგეანდეს, ჩვენშიაც  
დავასახელებდით ნათის, ტყეების, ქვა-გუ-  
ნლის, ხეტყის წარმოების საქმეს და სხვას... ნუ  
თუ გვინათ, რომ ეს ხსენებული ქარხანები ევრო-  
პის ქარხანა-ფაბრიკებზე ნაკლებ ბატყავდეს მუშა  
ხალხს? გაიხსენეთ 1890 წელს ბათუმში ხუთას  
ქართელ-იმერელთ შეთქმულობა (სტაქა) — რატში-  
ლდს ქარხანაში, საცა მუშებს ორი მანეთი ქირა  
ათ-მალურათ გაუხადეს და მუშებმა ხელი აიღეს მუ-  
შაობაზე.

დღეს ჩვენში უფაბრიკოთ და უქარხნოთაც  
აღელი დანახანია კაპიტალისტური წეს-წყობილე-  
ბა: ნუ თუ ჩვენი „ჩხიკეაძე-მებუკები“, ჩვენი „მო-  
შა შალომები და ჩვენი მეჩარჩე-ვაჭრობა. რომელ-  
თაც მთელი ქართლ კახეთის — საუკეთესო მამულე-  
ბი ხელში ჩაუვდიათ და სოფლის ხალხს ტყავს აძ-  
რობენ, მექარხნებზე ნაკლებ სასტიკათ ევაჭრობიან  
მშრომელ ხალხს? თუ ქარხნები და ფაბრიკები  
არა გვაქვს, იმიტომაც ვერ დაკინცლეს ხელიდან  
ჩვენმა გორ-ტფილის-სივნიანის კაპიტალისტებმა მა-  
მულ-დედული ადგილობრივ მკვიდრთ. რა თქმა  
უნდა ქარხნებსა და ფაბრიკებში მეტი კაპიტალის-  
ტი ტრიალებს, მაგრამ „რწყილს ნესტარიც ეყოფაო“  
იტყვიან ჩვენში და მართლაც ჩვენი ღარიბი ხალ-  
ხისთვის ეს წერიმალი „კაპიტალისტიც“ საკმაოა.  
ნუ თუ სულ ერთი არ არის დიდი დანით გავაძრო-  
ბენ ტყავს, თუ პატარათი? საჭმე თვითონ ამ ტყავის  
გაძრობის პროცესშია და არა კაპიტალის მეტ-ნაკ-  
ლებობაში. ეს პროცესი დიდი ხანია თავისუფლათ  
დათარეშობს ჩვენში, ამას შენიშნავედ ყველა ის,  
ვისაც საეკონომიო მეცნიერების ანანიც შე-  
უსწავლია მაგრამ ნა-ლისთვის ეს ჯერ ბნელით  
დაფარული ყოფილა. მან შეიძლება თვითონ იმან  
არ იცოდეს მკითხველო, ეს „მეცნიერების ანანი“?

ყარბი

საყურადღებო ამბები

**ფ**ასიხარული ამბავი უნდა გაუწყოთ მკითხვე-  
ლებს. ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი,  
რომელიც ამ ხანებში ავით იყო სახადით,  
უკეთ გამხდარა.

ბეგრნი გვეკითხებიან აკაკის ავით მყოფობაზე,  
სხვათაშორის მოსკოვის სტუდენტებისაგანაც მოვიდა  
ამ დღებში დეკემა.

დღეს 18 ნოემბერს შეიკეთე კრძო გამო-

კითხვით ჩვენი დიდად პატივცემულის და საყვარელი პოეტი აკაკის ავთ-მყოფობისაგან მორჩენა ალტაცებით ვეგებებით ამ გარემოებას და სულითა და გულით ვისურვებთ მის დიდხან სიცოცხლეს, რომ სახელმწიფო პოეტის უღროთო დაკარგვით არ დაკოდლიყო ჩვენი ობოლი გული!..

თბილისელი ხელონები

\* \*

გიორგობისთვის ჩვიდმეტს თვლისში სადილობისას, ორის ნახევარზე ორჯელ შეინძრა დედამიწა. შესანიშნავია, რომ ამ მიწისძვრას ორი წლის წინათ მომხდარ მიწისძვრასთან თანაბარი მიმართულება ჰქონდა, ესე იგი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

\* \*

სახელმწიფო თეატრში გიორგობისთვის 13 ბ-ნმა როსტომიშვილმა წაიკითხა საჯარო ლექცია სხვა-და-სხვა საპედაგოგო კითხვებზე. ლექტორმა ბევრი თავისი მოსაზრება გაუზიარა დამსწრეთ შესახებ ბავშვების აღზრდისა და სწავლებისა, მასწავლელთა და მასწავლებელთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებისა და სხვა... ბ. როსტომიშვილი ერთობ მრავალს საყურადღებო საგნებს შეეხრა და ამისათვის „კვალის“ რედაქცია საჭიროთ თელის ერცლათ მოილაპარაკოს მკითხველებთან ამ შესანიშნავ ლექციის შესახებ.

\* \*

ყვირილიან. ყველა დაბა-სოფელს ეტყობა წინ-მსვლელობა, გონებით განვითარება და ყვირილი კი ისევე ჩვეულებრივ ძილშია. არაფერზე არ ზრუნავს იგი, წიგნთ-საცავი, სამკითხველო, წიგნის მალაზია დასხვა კეთილი დაწესებულება მისთვის, როგორც ეტყობა, საჭიროც არ ყოფილა...

თუმცა ბევრნი არიან აქ ისეთი პირნი, რომელთაც თავისი გავლენით შეეძლოთ, რამე მოეხერხებოდათ, მაგრამ რა გამოვიდა, როდესაც არავითარ ჩვენ საზოგადო საქმეს აქნობამდე არ გამოჩენია მოთავე. ახლა სასიამოვნო აშბავი გავიგე და მინდა კვალის მკითხველებსაც შევატყობინო

ერთ შეძლებულს ყმაწვილს, ახალგაზდა, აღ. არაბიძეს, რომელსაც დიდი ხანი არაა რაც აქაური ნორმალური სასწავლებელი დაუმთავრებია, განუზრახავს წიგნის მალაზიის გაცემა. ყველანი დამედებულინი ვართ, რომ ამ საქმეს დამაბრკოლებელი მიზეზი არა გამოუჩნდება რა და მალე გვეღირსება ყვირილაში წიგნის მალაზია...

ს. ჯ.

\* \*

ბატონო რედაქტორო!

ნოემბრის ოთხს ქ. თელავში ჯვარი დეწვრეთ ერთს ჩემს ნათესავთაგანს ამავე ქალაქის მცხოვრებელ ქალზე. ჯვარის წერის დროს მამა იოანე ხატეცვა უმართებულო ეპირობა დაგვიწყო ჯვარის საწერ ფულზე და მინამ ოცა მანეთი არ მიეცეთ. ჯვარის დაწერა არ ინება, როცა მოვხსენე თხოვნი მანეთი იკმარეთ-მეთქი, იმან მრისხანეთ მიბძანა: „ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ოცი მანეთი უკანასკნელი არისო“. მეტი რა ღონე იყო, მივართე. ასევე, თანახმით მისი ეპირობისა, სამი მანეთიც გადაუთვალე ერთი ხომლის ნაწილი სანთლებით ასანთებში, მაგრამ ხომლი, ეპირობის მიუხედავით, ნახევრათ აუწიებელი იყო, ამისათვის 1 მ. 50 უკანე უნდა დაგებოუნდეს. რადგანაც სასულიერო მთავრობის განკარგულებით მღვდელს ნება არა აქვს ათ მანეთზე მეტი მოითხოვოს \*), ამისათვის უმორჩილესათ ვთხოვე მღვდელს იოანე ხატეცეს, ის მეტი გამორთმეული თერთმეტი მანეთი და ათი შუური ამ მოკლე ხანში თანახმით ჩემისავე ნათესავის სურვილისა წარუდგინოს პატივცემულ კვალის“ რედაქციას, რომელიც სურვილისამებრ მოახმარებს რა მელიმე საზოგადო საქმეს, ვთხოვე „ივერიის“ რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი თავის გაზეთში.

დავშოებ თქვენი პატივისცემული მკვირე ხელაქ

\*) სასულიერო მთავრობის განკარგულებით სხვათ მდიდარს—თუმანი, სმუალა ქონებისას—სუთი და ღარიბებს—სამი. მან. ჩემი ნათესავი ღარიბთაგანი გაჭლავთ.

ავტ.

## პ ა ს უ ხ ი

(გ. ნ. ორბელიანისას)

**ქ**ემთვისაც მხოლოდ მართა ერთა,  
სიყვამიდან გულში, რომ დამჩნენია,  
შეუტყალებლათ მწამდა ახლაც მწამს  
და მეწამება, ვით გაზჩენია.

ჩემი აღმზღელი სამშობლო ტკბილი,  
მხედრი ქალწულის, ლეთისა დედისა,  
მისი ძის მზგავსათ გმობილ-დენეული,  
არ ერთხელ მსხვერპლი შავის ბედისა...

საგანი წმინდა უმანკო ჰაზრით  
შენთან კემშირი შემეერთია,  
იმას ეცემ თაყვანს და დანარჩენი,  
არ მინდა, არ მწამს მე არც ერთია!..

ის მტანჯავს, რომ მას, უძლორი შვილი,  
საქმით, ვერც სიტყვით, ეგრას ვარგვიარ,  
ამათ მსგელო ცხოვრების გზაზე,  
უქმი ტერითი და უქმი ბარგი ვარ!

ეს არის ჩემი ოხერა და კენესა,  
შეუწყვეტელი შფოთვა გულისა,  
ეს არის ჩემი მწარე სიტოცხლის,  
მამწყველელი ყოვლის სიხარულისა!..

დასაბამიდან მე ეს ფიქრები  
თვალ-წინ შეაბნელათ მეტურებიან,  
გულის პასუხის გამოთქმის ნაცვლათ  
სრემლთა ნაკადათ მეწურებიან!..

მაგრამ ამითაც გულს არ გავიტყვ,  
იმედთ კიდეც ის დამჩნობია,  
რომ, იქნებ ერთხელ, ტანჯვის ბორკილი  
გაწედეს იქ, სადაც გასაწყდომია!..

რუს-იმერელ

## ფიქრი და შენიშვნა

### VIII

ჩვენის ჭაღების საყურადღებოთ

**წ**ხვისი არ ვიცი და მე კი, როცა გაზეთ  
„იერიის“ მეფელეტონის უტოდველი წერა-  
ლისაგან გამოწვეულ ჩენი ქალებს პასუ-  
ხებს ვკითხულობ, კიდევ მიხარია და კიდევ ეწუ-  
ხვარ. მიხარია იმიტომ, რომ ეხედავ, ჩენს ქალებ-  
შიაც რეულან იმისთანანი, რომელნიც თურმე თვალ-  
ყურს ადენებენ ჩენს ცხოვრებას, გული შეტყეით  
საზოგადო საქმისთვის და მშათ არიან, გააკეთან  
კიდევაც რამე, თუ კი გზის მაჩვენებელი ყოვლებათ.  
მიხარია იმიტომ, რომ ჩენს ქალებს მართლა დეიწ-  
ყებული არ ჰქონიათ დედა-ენა და ზოგიერთებს მა-  
ინც, თუ ჩიორასაგან მაგალითათ დასახელებულ  
ქალბატონ მარტორო უორდროპზე უკეთესათ არა,  
უარესათ მაინც არ შეძლებიათ ქართული წერა,  
ასე რომ მაგალითისთვის ინგლისში არ ყოფილა  
საჭირო წასვლა და შესაძლებელი ყოფილა ჩენშივე  
დაგვესახელებინა, თუნდ ქალბატონნი ბარბარბარე  
სულხანიშვილისა და ბარბარე ხერხეულიძე (ქ-ნი  
ე.ვ. გაბაშვილისაზე არას ვიტყვი, რადგან ის, შეიძ-

ლება, თვით ინგლისშიაც სამავალითო ყოფილიყო  
როგორც მწერალი ქალი). ხოლო ეწუხვარ იმიტომ,  
რომ ეხედავ, ამდენი ტყუილ-წამალი ტყუილათ დაუ-  
ხარჯავსთ (და შეიძლება ახლაც ჰხარჯვენ: სანამ ეს  
წერილი მკითხველამდის მიადწევს, თითქმის ერთი  
თვე გაუა და ამ ხნის განმავლობაში, ვინ იცის,  
კიდევ რამდენი წერილი დაიწერება ჩენი ქალები-  
საგან?) რომ უმნიშვნელო და არავისთვის სასარგებ-  
ლო საქმეს გამოადგომიან და უშეგლებელ წერილ-  
ბის წერაში კარგვენ დროს. ღირდა საქმე იმათ,  
რომ პატივცემულ მანდილოსნებს თავის პირდაპირ  
მოვალეობისთვის თავი დაენებებინათ და გამამართ-  
ლებელ წერილების წერას მოჰყოლოდნენ? განა არ იფ-  
იქრებს მკითხველი, როცა ამ წერილებს წაიკითხავს;  
მათ აეტარებს ან სხვა საქმე სრულით არაფერი  
ჰქონიათ და ან გატაცებულან სურვილით, თავიანთი  
სახელი გამოეკიშნათ გაზეთის ფურცლებზე და  
იმიტომ აუღლიათ კალამი ხელში? აბა, რა საჭირო  
იყო უბრალო ფელეტონის გამო, თუნდა მართლა  
ცილისწამებაც ყოფილიყო შიგ \*), გულის მოსვლა,

\* ხოლო რომ ცილისწამება არ იყო, რომ ჩვენ  
ქალებში ბევრნი არიან იმისთანანი, რომელთაც დედ-  
ენის ცოდნა კი არა, რომ შეკილოსთ სრულიათაც მა-

თავის მართლებას? ადამ, რათ შეცდი და ვეამ შემა-  
 ცდინაო, ვეა, რათ შეცდი და გველა შემაძლინაო,  
 გველო, რათ შეცდი და ეშმაკმა შემაძლინაო. ღაღ,   
 ახლა ისევ ჩიორამ რომ მოგახსენოთ კაცების მა-  
 გიერ, ქალბატონებო, ეთქვით, თქვენ ჩვენ კვალს  
 გამოჰყვეით და იმითამ წახდით, მაგრამ ჩვენ ხომ  
 ზეციდან არ ჩამოვეფრენილვართ ამ ნაირათ, ჩვენც  
 ხომ ქართველი ქალების შეილება ვართ და, თუ არ  
 ვარგივართ, ბრალი ჩვენ დედებს გეღებთ, რომელ-  
 თოც დავეყენო გადაგვარების ვახუთო, რალს ეტ-  
 ყვით? ეს ხომ ცხადია, რომ ყმაწვილის ამ ნაირათ,  
 თუ იმ ნაირათ აღზდა ყველაფერზე უფრო დედის  
 საქმეა! როგორ თუ რას ეტყვიოთ, წამოიძახებენ  
 ამ სიტყვებზე ქ-ნი ბარბარე სულხანიშვილისა და ბარ-  
 ბარე ხერხეულიძე, თქვენი დედები იმითამ არ ვარგო-  
 დენ რომ თქვენმა მამებმა გააფუტესო და ბრალს ისევ  
 მამაკაცებზე გადაიტანენ. მერე როდემღის უნდა ეი-  
 ჩხუბოთ ამ და ევტით მიზეზთა მიზეზია? ნუ თუ  
 მანამდინ, სანამდინ, ბოლოს ყველაფერის მიზე-  
 ვი დაწვეცილი ეშმაკი არ შეიქმნება და ჩვენ  
 ყველანი მართალნი და უმანკონი არ გამოვალთ?  
 მერე რა გამოვა აქედან? რა მოუვა იმ ოჯახს, რო-  
 მლის წევრებიც იმის მაგიერ, რომ საქმე აკეთონ და  
 გვეჩვენებულ ოჯახი ისევ გამოაბრუნონ, ერთმა-  
 ნების დაუწყებენ ყველარებსა, არა შენ დალუბე ოჯა-  
 ხი, არა შენა? თუ ასე ძლიერ ვართ, რომ მამაკა-  
 ცებზე მართალი გამოხედოთ, მე პირდაპირ მოგახ-  
 სენებთ, რომ უდიდესი ბრალი, რასაკვირველია,  
 ჩვენ გვედება (სხვა არა იყოს რა, ვარსევან ჭეჭეუაძე  
 და ზურაბ წერეთელი მამაკაციები იყვენ), მაგრამ  
 ამით რა შეეძინება საქმეს? დამთანხმეთ, რომ არა-

ფერი და რა კი ამ ქმით საქმის კეთებას საჭირო,  
 თვით დაწებეთ ტყუილ-უმბარლო ლაპარაკს და თა-  
 ვის მართლებას? ხრამ ხედავთ, რომ მამაკაციბი არ  
 ვარგივართ (ვაიხარეთ, რაკი ასე გინდოდით ამის  
 გაგონება! მაგრამ განა პირველათ გესმით ეს ჩვენ-  
 გან? თვით თქვენ უმორჩილეს მონას არა ერთხელ  
 გამოუთქვამს ეს აზრი და შეიძლება, არც ბატონები  
 ხონელი და ჩიორა მსახავედ უნაკლულო იდეალე-  
 ბათ ჩვენ მამაკაცებს და მართკ დედაკაცებს აბრა-  
 ლებდეთ ყველფერს), საზოგადო საქმე მივიტოვეთა  
 და ერთმანეთს გამოვდამოვიართ და ღამის შექმ-  
 მით კიდევ ერთმანეთი, ვითომ და საზოგადო საქ-  
 მისთვის თავგამოდებულუმმა (მოიგონეთ წრეგან-  
 დელი საბანკო კრებები და ის ერთმანეთის ღანძლე-  
 თრევა, რომელიც პოლემიკის სახით გაშეფუტულა  
 ზოგიერთ ჩვენ ყურნალ-გახვებებში!) და ეცადეთ,  
 თუ ახლანდლის თაობის გასწორება შეუძლებელია  
 იმაველი თაობა მაინც რიგანი დაუხარჯოთ სამ-  
 შობლოს! ნუ ჩაგრევიტ მამაკაცთა გაწეუტილებაში,  
 პირ-იქით ეცადეთ გავლენა იქონიოთ მათზე თქვენი  
 სულგრძელობით და საქმიანობით (თქვენ ხომ, სას-  
 წუხაროთ თუ სასიხარულოთ, არ შეგიძლიათ ბან-  
 კებში თბილი ადგილებს დაქტრა?). შეერთდით,  
 განიშკვალეთ, ერთის აზრით, ერთი სურვილით და  
 იზრუნეთ მამულისათვის! როცა სამშობლოს გაუქი-  
 რდა კართავენელ მანდილოსნებმა თმებზე კი დაიპო-  
 რეს, რომ შეიღლებსთვის ლარები გაეკეთებინათ,  
 ჩვენც გეგვიჩის ამ ქმით და იმოქმედეთ!..

აგერ ჩამოდენიმე წელიწადია, ჩვენში შედგა  
 ქალთა კომიტეტი ქართული საქალებო სკალის  
 დასაარსებლათ, (ჰნანს, თვითონვე უჩაქენათ, რომ  
 ახლანდლო ქალები ვერ აკმაყოფილებენ თავიანთ  
 დანიშნულებას და დიდება იპათ, რომ წამლის მო-  
 პობასაც შედგამიან) დაიწყო საქმე ჩინებულათ,  
 მაგრამ ბოლო კი ვეღარ მოაბა. იმის მაგიერ, რომ  
 ყველა შეგნებული ქართველი ქალი შეერთებულთ-  
 ყო და საერთო ძალით ეზრუნათ ამ საქმისთვის; ბე-  
 კლები, საყურებები და ყველა სხვა ძვირფასი ნიეთე-  
 ბი და ტანისა და სახლის სამკაულები გაეყიდათ და  
 ფული სკოლისთვის გადავლოთ; რომ ხელში „ქრუ-  
 შები“, დეაკეციათ, როგორც რუსის მონაზნენები  
 ჩადიან რუსეთის მონასტერთა სასარგებლოთ ფუ-  
 ლის შესაკრებათ და ევლოთ სოფელ-სოფელ; იმის  
 მაგიერ, რომ აეკეთათ ძვირფას სადილობის და სა-  
 ღამომბის გამართვა და არც სხვაგან ევლოთ ბალებსა  
 და „ვეჩრებში“, რომ თუ საჭირო იქნებოდა, ძვირფას  
 კაბებზედაც ხელი ავიდოთ, და რაკი ეს ერთა სა-  
 ქმე, თითქმის ყველაფერზე უფრო საჭირო ამ ქმით  
 ჩვენთვის, ითავეს, დავეცირაგინებინათ კიდევ; ამ

ტოვებენ სამშობლოს, ეს, აი, ამ მკვლავით მტკიც-  
 ება: როცა უსწორელი მტენიერები და პროფესორები  
 კოპულეკები და ქლიტაშვილაფილოქურის გამოსაკვლე-  
 ვით ქუთაისს ჩამოვადენ. აქ თურმე ერთმა გამოსწინაღმა  
 პრთეკლმა სადილი გაუკეთა, სადილზე სტუმრები მოჭ-  
 სიდად თურმე შეკნებრას მასმინდას ჰაღმა, რომელმაც  
 ბოლოს თქვა: „მე აწ მანდა, მე აწ პეტრეაფრემი,  
 აწ მარბეში უნდა ვყოფო.“ როცა ამხუ ფანტემა-მორი-  
 თნმა უბასუსა მოწონების მაკეთრ; „რას ამბობთ ვერ  
 ერთი, პეერა შერსოვლი ნატრბას თუგენი ჭეუწინაშვი-  
 ლობას და უქორე ვინც თავის სამშობლოში ვერ გამო-  
 მდგარ, ის ანც სხვაგან გამოდგებოს.“ დაღონდა თურმე  
 მაგრამ რადა დროს.. ჩვენ ამისთანა ფაქტები კიდევ  
 პეერა ვიცით, ეს მარტო მოგეგუვს; რადგან გასეთში  
 იყო ეს ამბავი დაიქვდილი. ამის შექმნე აწ შეკლდა  
 ნიორას, ეთუკა ქალბებისთვის: შეხედეთ უსწორელს თქვენ  
 იფიქრებთ პრთელს და ის კი სწავლობს.




ბაქის კასპის რეინის გზა. პაიჭამაძის ნანგრევები.

საქმის შეთაურებმა ბანკის კრებებზე შორითეს წუწუ-  
ნი, სკოლას ვაარსებთ და დავეცხმარეთო. კარგია  
თქვენმა მზემ! ბანკმა თუ მზა-მზარეულათ ფულები

ჩაგიხზრიალათ, კი დაარსებთ სკოლას, მაკრამ როცა  
ბანკის ვამცებელთ დანჯათ და აუშუოთებლათ მო-  
გახსენესთ, მოითმინეთ, ავერ გაემდიდრდებით, მი-






ზღვის კატა

ლოონები დაგერჩება მოგება და თუნდ ერთ მილიონს ერთათ მოგვემოთ, მაშინ მაინც რათ არ გამოიღეთ ყურში ბაზმა და თვითონვე არ ილონეთ რამე? რამადენიმე წელიწადი კიდევ იწუწუნეთ ამ გვართ და წელს, არ ეიცო, თავი მოგებურდით ამდენი უნაყოფო წუწუნით, არ ეიცო, სხვა რაიმე მიზნის გამო, აღარც კი გაგიმზღლიათ ეს თხოვნა, თუმცა როგორც ჩანდა, კი ძალი მოგება უნდა ჰქონოდა წელს თვლილის ბანკს. ნეტარ იყენენ მოწუწუნენი, მაგრამ მე კი ასე მგონია, რომ ჩენი ბანკები ევროსადეს ევრო მოაკლიან საქალბო სკოლისათვის ფულს, რადგან ყოველთვის გამოიძებნება გაკირვებულ თავდაზნაურთა დამხმარებელ კაპიტალის გვარი რამე... დიად ბატონებო, ვაიგეთ, რომ, თუ გსურთ რისსაც კეთება, იმათ ნუ შეცქერისხართ თვალში, ეისაც საზოგადო საქმისათვის ხოლოთ მაშინ ცალიათ, როცა იგი საქმე პირადით მათთვის არის სასარგებლო, და თვით იმოქმედეთ!.. ქენმა ეკ. გაბაშვილისამ იკისრა სალოტრატურა ფონდის თავის მობმა; წესდება შეადგინა კიდევ და წარსულ ახალ ნაღდგომეს ცერძო კრება უნდა ყოფილიყო ამ წესდების განსახილველათ. კრება შედგა, მარა წესდება კი არ იყო განხილული, „ახლა რა დროს მაგაზე ლაპარაკი, მაგისთვის ეის ცალია, როცა საბანკო კრებებია მოახლოვებული დამათთვის უნდა მოვემზადოთ“, ბძანა ერთმა და გვერდა კრებიდან. (კაცმა რომ თქვას, ბევრა არც არა ეინ იყო მოწვეული და აბა, ეინ განიხილვად?) და კრება გადაიდო, ეინ იცის, რადისთვის! ამ ნაირათ ბანკის საქმე უკან მიავყენა ეს საქმეც, როგორც თითქმის ყველა სხვა საზოგადო საქმე. ქ. ეკ. გაბ. რომ სხვისთვის არ ეყურებიან, ან იმისთანებისთვის მიემართა, ეინც უფრო მოკლილია, ეგება აწი კადეც დაბოლოვებულიყო ეს საქმე ჩვენში. აგრეთვე ჩვენს ქალებს, რომ საქალბო სკოლასზე ზრუნვა

მარტო ბანკისგან ფულის თხოვნით არ გავთავინათ და ცოტათი მაინც კართაგენულ ქალებისთვის მივბძათ, უფრო სასურველ მდგომარობაში იქნებოდა ეს საქმეც! „კიდევ მაგალითი“ იტყვიან ქართველი მანდილოსნები; „გაიგეთ, რომ კართაგენულ ქალებს კართაგენული კაცებიც ჰყავდენ ქმებათ და ქმრებათ, რომელნიც, როცა პირველნი თმებს იჭირიდნენ... კმარა ბატონებო, კმარა, ეიცოთ, რასაც ამბობთ მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩენი, მამაკაცებს არ შეგვიძლია ამ ყაზით მივბძათ კართაგენულებს და თქვენ კი შევიძლიათ მიზაძით იმათ დებს და ცოლებს: დაუდგება ხოლმე ხან-და-ხან იმისთანა დრო ქვეყანას, როცა სამამაკაო საქმე — ბძოლო და აქტიური მოქმედება — შეუძლებელია და რჩება მხოლოდ სადღეაკაცო საქმე — მომზადება ნიადავის მისთვის და პასიური წინააღმდეგობა გარშემო პირობებთან. ჩვენც სწორეთ ამისთანა დროში ვართ ახლა და ქალმაც და კაცმაც ერთნაირათ უნდა ვაკეთოთ ეს სადღეაკაცო საქმე: უნდა ვაკეთოთ, მაგრამ ყველა კაცი კი ვერ დაკმაყოფილდება ამისთანა საქმით და რაკი საიმისო — საქმე ჯერ არა აქვს, სრულიათ უმოქმედოთ დარჩება, ცხოვრებისაგან გარიყული (მოიგანეთ რუსეთის მწერლებისაგან გამოყენილი ტიპები ესრედ წოდებული „АМММММММММММ“ ებისა. ონვენი, პეჩორინი, ბელტოვი, რუდინი და სხვანი და სხვანი!) მე სრულიათაც არ ეამართლებ ამ გარიყულებს, მაგრამ არც გამოტყუნება შეიძლება მათი, ხალა ქალი კი, რომელიც მთელი თავის არსებით არ შეუღვება ამ მისთვის ზეგამოჭრილ, თვით ბუნებისაგან დანიშნულ საქმეს, გასამტყუნარი კი არა დასასჯელიც იქნება და კიდევაც დასჯის მას შთამომავლობის პირუთენელი განაჩენი. ეისაც ასხენ ყურნი სმენათ, ისმინენ!

30 აკტომ.

დ. ხ.



### სავრამატიკო კვლევა

შედეგი \*)



აღიქრათ ვერ ეწიენებოთ მკითხველებს, ვერ ავიღებთ ხელში ბ-ნ ბეკერის საჯალბორო წიკბლას და ვერ გავუშართათ „ასობის

მომზიბლავ ბალეტს“ იავ-ფასიან დროს გატარების მიძენილებს.

დარწმუნებული ვართ, მკითხველები ჩენგან საქმეს მოელიან და არა უსაჭირო, უმიზნო და ერთათ ერთის თვითმნებელობის დასაკმაყოფილებელ გასართობს...

ამისათვის ნურას უკაცრავათ ბ-ნ სიმონიძესთან, თუ იგი ჩენ წერილებში ვერ შეიღვება ვერც ზმენების შეუბრალებელ ტრიალ-კოტრიალსა და ვერც

\*) იხილეთ „გვლი“ № 47.

„ასოების“ ციბრუტიცი თ გარბენ-გამორბენას.

განვარძობთ ჩვენი ბაისი.

ქართული ზმნებისთვის სრული სახის მიმცემნი და ამასთან ზმნის ფორმების გამართლებელნი იქნებან შემდეგი ელემენტები:

ბა, ღა, ჩა (შთა). შა (შე), მი, მო, ალ, წა, ბაგო, მიმო, ჩამო, წამო, ალმო, ბაღ(ა)მო და სხვები... აქედან რთული ფორმები: ღა-გწერ, ჩა-გწერ, ღა-გწერ, ღაღმო-გწერ, მი-გწერ, ღაღმო-გწერ, ჩაღმო-გწერ და სხვა...

ელემენტები—სუფიქსები და აგრეთვე ზმნის ფორმების გამართლებელნი:

ო(თ'გა; თ'ო, ო), მტა (მაინჯა), ცა, ყე და სხვები...:

გწერდი - (ო, გაკეთებდი - (ო, ექიმეინა - (მტა, გაწერინებდი - (მტა, ჩა) - ეწერინებდი - (მტა - ო...

ღიბა, ბატონო ჩემო, მარტო ტემის რთულია. ბა არა ყოფილა საქარისი, რომ ზმნის რომელიმე ფორმა ჩაეთვლიათ რთულია. ზმნის ფორმის რთულობას გვაჩვენებს, როგორც ზეითა ენახეთ მაგალითებში, ან სრული სახის მიმცემი ელემენტი, აუცილებლათ პირის მაჩვენებელ წინ მჯდომი და ანუ ელემენტები—სუფიქსები, ფორმის ბოლოდან მისამატებელნი, რომელნიც თავსდებათ ან მესანე პირის მაჩვენებელს შემდეგ, ან ერთ-ერთ ელემენტებს შემდგომ (ღროსისა, დაჩრისა, სხმით გარდასვლითისა, მჩრობლ სხმით გარდასვლითისა და სხვა...), რაზუნდაც, ესე იგი, ბოლოვდება ხოლმე რომელიმე ზმნის მარტივი ფორმა.

წარმოიღვინეთ, ჩვენი საეკლესიო წიგნების მთარგმნელები, როდესაც თხზავდენ ბერძნულ ენის სხვა-და-სხვა კონსტრუქციის მიხედვით, ქართულათ სხოლასტურ ფორმებს, მაშინაც კი უსათუოთ პირის მაჩვენებელს მოუსვენებდნ ხოლმე ჩასამატებელ ელემენტებს, მათ სხმოდათ კარგათ, რომ პირის მაჩვენებელი ზმნის ფორმის ავგლომერაციაში, ანუ ელემენტების ასხმა-აკინძაში, ხელშეუხებლათ უნდა მისდევდეს იმ ტემას, რომლითაც აღიძვრება ჩვენს გონებაში საქირო საგნის გამოხატულება: მათე IX, 21 — შეხოლოთუყვებო, ნაცვლად: ხოლო თუ შევეზო, ოიანე V, 7 — შთამცამავლო, ნაცვლად: მეცა ჩამავლო და სხვები...

ერთი სიტყვით ზმნის ტემა, მარტივი იქნება, თუ რთული, ყოველთვის თანაბრათ ერთსა და იმავე ჩარჩოში თავსდება უღვლილების დროს. ასე რომ არა ყოფილა,ყო და ქართული ზმნის ეს ბუნება-ხასიათი არ გამოაგეკელია, მაშინ ხომ ვერც გაგებდავდით ზმნების უღვლილებისათვის საერთო სქემების შედგენას.

ზოგიერთის რთული სახის მიმცემ ელემენტთაგანი და ამთში ელემენტურ ალ შეუხორცდება ხოლმე რომელიმე სიტყვის ძირს ახალი საგნის გამოხატულების აღსანიშნავათ, მაგალითათ:

1) არ —  
ალ(ა)რ —  
შალრ — ე — სი — ვ — შალრსოზ.

2) დგომა  
ღმბ (და — ღმბ)  
ღმბმ —  
ალმღგ —  
წინააღმღგ — ე — წინააღმღგვო...

3) დგომა  
ალდგომა — ეი — ალდგომებ...

4) ტაცება  
ალტაცება — ეი — ალტაცებ...  
etc... etc...

5) შეადარეთ აგრეთვე ზმნები:  
ალეიღამ (ფესხ) — ეი — ალდგომებ.  
ალეიმართავ (სიმართლის დროშას) —  
— ეი — ალმართებ (გზას)

აი, კიდევ სხვა სრული სახის მიმცემ ელემენტების მიმატება სიტყვების ძირთან:

ბანდგელი — ვ — ბანდგელიოზ —  
ვი — ბანდგელიოზ.

ბაძებრა — ვ — ბაძებრაოზ — ვი — ბაძებრაოზ.  
წარმართი — ვ — წარმართოზ — ვი — წარმართიოზ.  
და სხვა... და სხვა... თმბ.

როგორც ხედავს მკითხველი, ჩვენ მრავალი მაგალითი გეცოდნია, სადაც „ალ“ ნამდვილათ შეხორცება სიტყვის ძირს და ამტომ ამ სიტყვიდან წარმოებულ ზმნებს პირის მაჩვენებელი წინიდან მიჰმია და არა ალ — ს შემდეგ.

თუმცა ყოველივე ეს წინათაც ეციოდით კარგათ, მაგრამ არაფერი ვითქვამს ამაზე, რადგან საერთო მათსა და ალმართაშს შუა ვერა ეპოვეთ რა. მოუხედავთ ამისა ბ-ნი სიმონაძე გეიკიძენებს დაუკვირებლობას:

„რატომ მის (გალაირებ) მეზობლებშააც არ მოხდა ეს დამაწინაურებელი ცვლილება? აი ამოცანა, რომელსაც უპირველესი, ცენტრალური მნიშვნელობა აქვს დაეის გადაჭრისათვის და რომლის დადგინება (? დადგენა) კონკრეტულათ ეერ მოახდინეს ჩვენმა მოწინააღმდეგებმა.

სასაკილოა, ღმერთს ვევიცებით... რას დაეადგენდით, ბატონო, კონკრეტულათ, როდესაც კარგათ ეცოდით, რომ არსებობდნ აკეთი ზმნები, მაგრამ მათსა და გალაირებს- შორის მაინც დიდი საღვარი ძვეს.

ჩენი ბედი, მკითხველო, რომ ბ-ნ სიმონიძეს აგეთი ზმნების არსებობა სრულებით არა სკოდიო, თორემ შენ მტერს ასე და ისე, რა დღესაც ჩვენ დაგაყენებდა იგი!..

სიტყვებში: უ-აღ-რ-ე-ს-ი; წინა-აღ-მ-ღ-ე-გ-ი, აღ-ღმ-ომ-ია, აღ-ტაც-ებ-ა, გან-ღმ-ილ-ი... სხვა და-სხვა ელემენტები პრეფიქსებით, ანუ თავსართებით მიმატებულნი, ისე შეხორცებთან ძირებს: რ, ღვ, ტაც... რომ მათი გამოკლება შეუძლებელი ხდება, რადგანაც ამ ელემენტების გამოტოვებით თვით სიტყვები ჰკარგავენ საგნის ნამდვილ გამოხატულებას.

ჩაუფქრადთ ახლა საკამათო ზმნას—აღვიარებ აქ თუ ოდესმე შეხორცება მოხდა, ისეც ალ სა და პარის მაჩვენებელ შ-ს შორის, რითაც აინსნება ხმა რება ზალხში ფორმისა—**ვალვიარებ** და არა **ვალვიარებ** ხოლო რაც შეეხება **ვალვიარებ**-ს, ამ ფორმას ხომ უარჰყოფენ თვით ბ-ნ სიმონიძის ავტორიტეტებიც, მაშ თუ ვალიარებ არ იხმარება და მარტო ხმარებაში ყოფილა—**„ვალვიარებ“** (პლეონაზმი), აქედან რა მტკიცდება თუ არა ბ-ნ

სიმონიძის ენის ჩიქორთულობა? შეხორცება ალ-ის პარის მაჩვენებელ შ-თან მტკიცდება იმ მრუდეთ ჩაწერილ სახელ ზმნიდანაც კი, რომელიც მოყვანილი აქვს განსვენებულ დავით ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში: აღვიარება, ნაცვლათ სიტყვისა „აღსარება“

ასე, თუ ისე, ამგვარი შეხორცება ელემენტებისა, დამტკიცებულია, ჩვენს დროში არსად აღარ სწარმოებს. რადგანაც ენა, აღრე თუ გვიან, ავით თუ კარგათ, დადგა კიდევ თავის დონეზე, მაშასადამე ეგ შეუღლება ელემენტისა „ალ —, იარ“ —თან, რომ მომხდარიყო კიდევ ოდესმე, კარგათ ეცოდინებოდათ ჩვენს ძველ მწერლებს და, აუცოდებელია, იხმარებდნენ—**„ვალვიარებ, ვალვიარებ. ვალვიარებ“** და არა ისე, როგორცა ხმარობდნენ. ამით ვთავებთ „აღვიარებ“ზე ბაას. ამას შემდეგ რაც უნდა დასწეროს ბ-ნმა სიმონიძემ, ჩვენ პასუხის გამცემნი აღარა ვართ.

ქ. დოდაშვილი

(შემეგი იქნება).

ლ ო ც ვ ა

(ლექსიონი ტოკიდაძე)



ელაე ლეთისაო, მუხლმოდრეკილი შენის ხატის წინ ახლა შენდობას არ ვითხოვ, არც მსურს მწერ სიკვდილი მაშორაო, არცა გწირავ მადლობას.

მე არ გავედრებ ახლა ჩემ სულსა, სულს უთვისტომოთ მოხეტიალეს;

გეედრი მხოლოთ, ამ წმინდა ქალწულსა ნუ მიაკლებ შენ კალთას მოწყალეს.

მიეც მას, ღირსსა, ბედნიერება,

მიეც კეთილი ყურის მგდებელი,

ჯერ სიხარული, კვლავ მყუდროება,

სულის მშვიდობა მაცოცხლებელი.

და როს მოვა დრო გამოსალომების

მზიანს დღეს იქნეს, თუ ღამეს ბნელსა,

ნება მიეცი მის ჩაბარებისა.

მხოლოთ ანგელოზს შენს საყვარელსა.

დუბუ მტკრული.

„ივერია“ № 201 და მეველე

(წერილი რუჯაგასთან)



ვერისა\* სწორეთ თავის სამტერეცლათ გაუხდა ჩემი წერილი სტუდენტებთან 50 მან.

შესახებ მიწერილი, რომელიც მე მმართველს და მოვალეთაც ვრატე ჩემს თავს გადავიხადო. აქამდინაც უნდა მომეშორა ეს ვალი, მაგრამ საიდან და როგორ, როცა არა მექვს და არცა მქონია არა

დროს იმოედნი, რომ დღიურ ლუკმას მოჰპარებოდრეს?

მეველეებს ჰგონათ, ვითომ მოყვასის შებრალება მარტო იმათი ხელობა და ეჭვა-ფშაველას კი ღმერთმა არ მიანიჭა ეს მადლი. მე საიდან და როგორ შემიძლია შევიყვარო და შევიბრალო მოყვასი? საიდან მოვიინდომებ მოყვასისათვის კეთილს?! როგორ შევიგნებ იმ ჰეშმარიტებას, რომ ვალს გადახდა უნდა? ბარაკლა, მეველეე, რომ თქვენ შეგძლებათ მხოლოთ ის, რაც სხვას არავის ძალ-

უქსი ორი წელიწადი ითმინა „ივერიამ“, სამდღვოთ შეინახა თავისი „აზრი“ო, ბძანებს მეველე. დიად, შეინახა „აზრი“, „ივერიის“ რედაქციამ, რათა მეველეს „ივერიის“ № 201-ში დაეცქია ეს დახვლანჯული საქმე. რათ იჩხავდა „ივერიის“ ამ აზრს? იქნება ვეცოდებოდი? მე ხომ არ შეგხეწნივარ: თუ ღმერთი გწამთ თქვენ მაინც შემობრალეთ თვარა ეს-ეს არის ვილუბები კაკალი კაციაო, თავის ნება იყო და არა თქვა რა, ხოლო ამას ნუ დაეიფიწვებთ რომ მე მაშინ „ივერიის“ თანამშრომელი ვახლდით; დღეს ამბობს „ივერიის“ ამ მრავალ-ტანჯულ „აზრს“ და უნდა გავისვენოთ ის გარემოება, რომ მაღლე ერთი წელი შესრულდება რაც „ივერია“სთან მე ყოველივე კემშირი მოვსებ. აი, სხვათა შორის მიზგზი იმისა, რომ „ეჭა-ფშაველა ამბობს მეგრაამას“, „არა აქვს შებრალება მოყვასისა“ და „ვალის ვადახლა არ უნდა“.

მე მაინც მაღლობელი ვარ მეველესი, რადგან დღეს თუ იმას მისცა საბუთი კიეველმა კორესპონდენტმა ხელ-ახლათ ჩემზე გამოლაშქრებისა, მეც მიძლიევა შემთხვევა იმ კერძოთ სტუდენტებთან მიწერილი ბარათის აზრი მე თითონ განმმარტო, რადგან ამ წერილში ბეგრი იმას ჰხედავს, რაც იქ არ მოიძიებება. საბრალო ჩემი წერილი! სწორეთ მრავალ-ტანჯულ იოსების ყოფაში ჩავარდა: რამდენი რუსეთის ვახეთებმა წაწეს, რამდენი ადგილობრივ! ამაზე ნათქვამი გარეთ გატანილ სახალუსეს პერანგი აღარ გამოდიოდაო. პასუხი ჩემს ნაკამათეთათვის მაშინვე უნდა გამეცა, მაგრამ საი და როგორ შექედებდი ამას, როდესაც მე მიძიეთ ავით ვიყავ მაშინ კიბირის ქირით (Сибирская язва) მითელი ორი თვე.

უნდა პასუხი გამეცა-მეთქი, ვამბობ იმეტომ, რომ ზოგიერთი ჩენი ნაცნობთავანი პირადთ სამდღურავს მიცხადებდა, განათლების წინააღმდეგი ხარო და სხვ. ნუ თუ იმის თქმა მხოლოდ „დიპლომაისტისთვის სწავლა არას არავის ქვეყანას“ უარყოფა განათლებისა?! არა, ვერ ვიტყვი იმას, რომ ჩემი წერილი ღმობიერია, სასტიკი პასუხი მომივიდა, რაიკ ახლა მე თითონაც მენანება, მაგრამ რა მექნა? თხოულობდენ ფულს და დამკაყოფილება კი არ შემეძლო, რადგანაც არა მქონდა და, რატომ არა მქონდა, მე „ივერიის“ რედაქციას ჰკითხეთ. წამლების ფულიც კი არ მომძიებებოდა, ექიმიც ვერ მოვიწვიე უქონლობისა გამო... „ივერიის“ რედაქციაში ფეიჭურინე წიგნი ჩემს ძმას თ—ს და ეთხოვინე მეფილ, მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს. აი, ამ გარემოებამ და გაბრუნებამ, თუ მათქმეინებთ, დაამახინჯა ჩემი წერილის პირველი ნახეარი და არა

წადილმა ვალის გადახედლობისამ. ამის საბუთი ცოტა არ იყოს საჩიოთროა, მაგრამ რა ქნას კაცმა, ტყუილთ არ ამბობს ქართული ანდაზა: „სირცხვილი მოვადგა სიკვდილი განატროა“. ეც მაშაცხონებულიები სუველიაფერში თითონ უნდა იყვენ მართლები და რომ არ შეიძლება. თუ „ივერიის“ გამაქრიაზი გონების თვალები უხსნდს, უნდა გაიგოს, იმ ჩემს წერილში ჩუმი სამდღურავია თვით „ივერიის“ რედაქციისა, რაც გვიგება — იქნება ეს-ლა-მიხედა და იმაზე წიწმობს?! ვიმეორებ, მე მმართებს 50 მან. პეტერბურგის სტუდენტებისა და გადავიხდი კიდევ, როცა შევიძლებ სარკებლიო. სწავლა-განათლება მწას და იმედიცა მაქვს იმისა. მეცხრამეტე საუკუნეში ვინ იქნება ისეთი აღმამიანი უარყოფის იგი? დიად, გადავიხდი ამ ფულს და იქნება ამ ამბავს თვით ის დაჩაგრულთა ერთა პრეტენზიების გამანვლებელი და „არა ღიბერალობის ასაკში მყოფი“ მამული შევილიც მოვსწროს. ვაცხადებ საჯაროთ, ვთხოვე კიდევაც „კვალის“ რედაქციას ეს ჩემი წერილი, ისე შეინახოს როგორც თამასუქი და როცა დაიწყება ჩემის ნაწერების ცალკე წიგნაკათ ბეჭედა, ჩემდა კუთვნილის გონორარიცენ ხუთი თუმანის მაგიერათ გაუზგანოს სტუდენტებს შეიდი თუმანი.

მეველე მბრალებს გულ-კვაობას, შეუბრალე-ბლობას მოყვასისას. ამაზე მაშინდელი სტუდენტები ჩაიციხნენ და არა მეველე, რომელმაც ჩემი კერძო ცხოვრებისა არაფერი იცის და რომლისათვისაც ერთხელ ვარდა „დრასტი“ — „პროამასი“ მვეტ არაფერი მითქვამს. ნუ ავიწყლება მეველეს, რაც აზრები იმან შეძლენა „ივერიის“ მკიბნველებს; მე ის აზრები სახსოვრის წიგნში მიწერია და არც დაეიფიწვებ არას დროს. რა დამაიწვებს „ვაზეიადებულ პრეტენზიას“, რა დამაიწვებს მისგან სამხედრო კანონის წაქეზებას. აი, მეველეს როგორც ეს-მის სიყვარული და სიბრალული მოყვასისა?! რა დამაიწვებს, მანამ ცოცხალი ვარ იმას, რომ „ივერია“ ერთ დროს ასეთ ველურს აზრებს ქადაგებდა მეველის პირით!.. მეორე ნახევარს ჩემი წერილისას განმარტება არ ექირებება და ახლაც იმასვე მოევაგონებ სტუდენტებსა და საზოგადოებას, არც შემძლითა ერთი სიტყვა შეეცვალო. რატომარ? იკითხათ. მიტომ, მეც მოვახსენებთ, რომ ლოლიცა გონებისა და ცხოვრებისა ამას თხოულობს, თუმცა კი მეველესთანა ვაქმატრანები არა შესაძლებს შეძლებენ ხოლმე: მშვიდნი სწავლობენ, სხვასაც ასწავლიან, წერენ თითონ ვახეთში (!!) და სხვებისაგანაც თხოულობენ, თქვენც უნდა წეროთ ვახეთში, თუნდა ბისტაც არ მოგეცესთო. უბრალო მომაკვდავთ კი უსათუოთ საზრდო უნდათ კუჭისა, რათა

ამ მხრივ უზრუნველყოფილს ადამიანს შეეძლოს ჭკვა-გონება ავარჯიშოს, ისწავლოს, განვითარდეს გონებით. ჩემი წერილის მეორე ნახევარი ამას დალდებს და აბა, თქვენვე მიბძანეთ ამ დღესათვის, მესესათვის ნათელს კვშმარტებზე როგორ ავიღო ხელი, თუნდ მეველემ ათასი მეთათური დაწეროს. ამასთანავე, როგორ არ მერჩია ჩემის როგორც თითონვე იწერებოდენ, შიშობილთ შეწუხებულს თანამომეტათვის, — ჩამოდით თავის სამშობლოში და, თუ სხვა ხელობას ვერ იშოვით, გუთავს მაინც მოჭიდეთ ხელი-მეთქი, როცა მე პირათ კალონის მსახურთა ცნობილი, ამ მხრით, მომდებარე ვარ კალონის და მხოლოთ მაღლობელი გუთინას, რადან თავსა და ცოლ-შვილს იმითი ვარჩევ. „ივერიაში“ ეშრომობდი მთელი 7 წელი და იქიდან აღებული რაღაც გროშები ხომ სათვალავში მოსატანი არც კია, რადან რასაც ეიღებდი იმასაც და უფრო მეტს ამ ფულის მიღებზე სიარულში და მიწერ-მოწერაშივე ეხარჯებდი; ნამეტნავთ მაშინ, როცა რედატორმა „პრეპრეკები“ გაიჩინა, რაც მიმიღია ამ შრომისათვის, განა არ უწყის მეველემ. დავითრები მაინც ვადაათვლიეროს, სადაც ჩემი ხელი აწერია მიღებულს ფულზე და იქიდან სცნას „ივერის“ რედატორის გულ-უხეობა და აქედან წარმომდგარი ჩემი წუწუარქობა და ევლების ვალუხდლობა.

არ ვიცი, რათ მოუწადინია მეველეს გამაშავოს საზოგადოების თვალში, როდესაც თუ საზოგადოებამ არა, ჩემმა დახლოებულმა ნაცნობებმა კარგათ იციან ჩემი ხელ-მოკლებობა, სიღარიბე და ისინი მაინც არ გამამტყუნებენ; იციან იმათ, რომ დღეს სიღარიბისა გამო საკუთარი შეილებიც ვერ მიმიცია სასწავლებელში და სხვას რა დახმარება შემიძლია აღმოუჩინო, ძალიანაც რომ მიწოდდეს და გული მტკიოდეს — ეს ერთი. მეორე: თუ სიღარიბე და ამის გამო ევლების ვადაუხდლობა დადამაულოებდა ჩასათვლილია, ამ დანაშაულში „ივერის“ რედატორს მოწაწილეთ. რათა? მათა რომ ჩემი ძალ-ღონე ამ გავთვის შევალე 7 წლის განმავლობაში და თვეში ჩემი შემოსავალი 10—15 მანათს არ აცილებია, თქვენვე მიბძანეთ ამ ფულს რას ვადაჩერეს ცოლ-შვილის პატრონი კაცი? ვიმეორებ, არ არის კარგი ამაზე საუბარი, ამის გამომკლავება, მაგრამ, როცა ძალს ვატარებ, გიწვევენ, უნდა თქვა, რას იზამ კაცი?! განა ტყუილთ სდებენ „ივერისას“ ბრალს, რომ იგი უმადლოთ და უმადლოთ მოეპყრა განსვენებულ ნინოშვილს...

მეველეს კი მაინც და მაინც არა ჯერა, ურწმუნო თომათ ქმნილა, თუ მე მართლა შეძლება

არა მაქვს და იმიტომ ვერ ვაკმაყოფილებ სტუდენტების თხოვნას. იგი წერს: „კარგი, მაგრამ რომელნი უფრო საპირობებენ ამ 50 მანათს, ისინი ეინც დაბნიავდენ (ეს დაბნივაა დაბნივით) და აღარც კი ახსოვთ თვით უნივერსიტეტი (!) (ჩემი არ ვიხიბრა, გული რით დაგწვავა), თუ ისინი, რომელნიც ვასპირაში არიან ჩავარდნილი გარეშე ქვეყანას? აქ, მკითხველო, როგორც თქვენი ბედნიერი თვალი ხედდეს და ბედნიერი ყური ისმენს, მეველემ უკვე ჩემს კერძო ცხოვრებას, — დაბნიავებას“ დებლაქუა, რის გამო მეც მევლევ საბუთი გავიხსენო მისი ბინადრობა, განა მეველემ არ იყრა დაბნივებული, რომ ბინა მოიშალა, ჩაუბღდა „ივერისის“ რედატორში ლუკმას გულისათვის და მოუშალა ბინა იმათ, ვისაც უფრო მეტი შრომა, ღვაწლი მიუძღოდა, ეინც უფრო მეტა ამაგი დასლა გავთვის. დღეს იგი მართა თვითონ დანაწარღობს „ივერისის“ ფურცლებზე, წერს აქია-ბაქიას, გიძიძის ალთა-ბაღთას; ედება ლოგოცორებს და ჰგონია, ვითომ შერაღოთ თავის ქუცაში.

მეგრე რა დაცინიეთ მიხსენიებს, თითქო რაიმე საბუთი მიმეცეს ამ დაცინისა იმსთვის, „ასე ეგონება ადამიანს ამისი დამწერი ან ცინცინატი უნდა იყოს, ან გარიბადლი და ან მთავარ-სარდლი სამხრეთის შტატებისა, გენერალი მაინც, რომელნიც გუთანზე მუშაობდენ (რა ქართულია და: გუთანზე მუშაობდენ)“.

რაკი „ასე ეგონობაზე“ მიღვა საქმე, მეც ნება მიბოძეთ ამ კილოთივე ვიკითხო: რა ეგონება ადამიანს, როცა ამ ჩემს მეველესგან განსამართლებას წაიკითხავს, მოისმენს მის მსჯავრს? მე კი მგონია, რომ ეს მსჯავრი, ეს განსამართლება არ მომდინარეობს უბრალო მომაკლდვის პირით, არამედ ეკუთვნის დიდებულ ზევებს, ოლიმპსა ზედა მადლმარებს, არა შვილს ამ ცოდვილის ქვეყნისას-

ნუ ეშინია მეველეს, მისდასახიზაროლოთ არა ეინ ცილობს საქართველოში გარიბადლი-ცინცინატობას. პაი, თუ გაუარდებოდა, რომ ასეთი ახირება ბუთი ადამიანი გააჩინდებოდა, რათა მთიეცობდა საბუთი ერთი კარგი მადლიანი მეთაური გამოეცნო, აღელო ბავე და თქვა: სახრჩობელა მავასაო! მეველეს რას არ იამებოდა მათი „პრეტენზიები“! ნუ გეშინია მეველემ, მე არც ერთი ვახლავარ, არც მეორე არც მესამე, არამეთ ვარ უბრალო მომაკლდავი და არა თქვენსათვის დიდებული არსება \*)

გაუ-გაშაქაუა

\*) ამ წერილთ ვათაგებ მეველესთან და სსეპთანანკ პასს ამ საგანსე; დაამბთან სომ რა კარგი წრამარა შედუნას და ცილის-წამებს, არა და დქერთას მჭვიდობა მიტეთ, წერონ მინამ ქალადი და შედუნას გუთაუკლებთ, ჩემთან მინან აწავით: რასეხს ამ მთადეხს.

### პ ა რ ტ ა ნ ი

(მოხსრობა ეგ. ნინოშვილისა).

შედეგა \*)

### VI

**ს** შირათ ჰქონიათ ამ ნაირი ლაპარაკი ჯერანისას, როცა ლიზა ჯერ კიდევ ახალი მოყვანილი იყო.—ლიზას ბევრჯერ ჩუმათ უტყირია ასეთი ლაპარაკის გამო. მაგრამ მართა ამ ლაპარაკით არ თვებობდა საქმე. რადგანაც ლიზა სიღამაზით არ უღრიადა ჯერანის იდეალს, მან გადაწყვიტა, „წამხთარ საქმეზე, ხასიათით მაინც იმისთანაი უნდა გავხალაო, რაეცა მე მინდაო“. პირველი ნაბიჯი ჯერანისა ამ მიზნის მისაღწევათ ის იყო, რომ სახელი დაუწუნა თავის ცოლს—„ლიზა ბოზის სახელია, პატროსანი ქალი ლიზას სახელათ რაეა დეითქვამს“—და ლიზას მაგიერათ მელანია უწოდა სახელათ. შემდეგ ჯერანმა მიყო ხელი მელანიას (მას შემდეგ ჩვენც მელანია ვუწოდოთ ჯერანის მეუღლეს) ზნეჩვეულები ვადაქმნას და ისეთ წერაღმანობაზე მივიდა, რომ თავისი თუც კი ისე უნდა დაეწნა მელანიას, როგორც ქმარს მოწონდა. დედა და დაც, რა თქმა უნდა, ეჭმარებოდენ ამ საქმეში ჯერანს. „თელტანაღობაშიც კი მოეტყუებდით და სხვაფერ მაინც დარჩეს ჯერანის მოსაძვე და მორჩილიო.—“თქობოდენ ესენი. ამ განზახებით ამათაც დაუწყეს დენა მელანიას იმ ჩვეულებებს და ხასიათს, რომლებიც ჯერანს არ მოეწონებოდა.

— რა არის, ქალიშვილ რომ მოხარე წარბები! ქმარის შობი და რიდი აღარ გაქ მაინც! მუქარა-საყუდურით უთხრა ერთხელ დედამთილმა. როცა ამ უკანასკნელს რაღაც ეწყინა ოჯახში, მულ-დედამთილის საყუდურის გამო.

— აფერი, არ მწყენია, ესე ტყულია.— უარობდა მელანია.

— რაეა არ გწყენია, რომ წარბები ჩამოუშვი! — დედა არ მომიტეტს, არ მწყენოდეს.

ერთხელ მულ-დედამთილმა ჩამოაგდეს ლაპარაკი ნიკოზე, რომელიც ყმაწვილობით თან-შეზღილი იყო ლიზასთან და მის ხსენებაზე ლიზას სიწითლად შეგარა სახეზე.

— რა არის, ქალბატონო, რომ გაკბრწყინდა სახე! თუ გასახარელი ყოფილიყო, ჩვენ რეიზა არ გავციხარდა!

არ გამხარებია, ისე ტყულა. ფიცავდა მელანია.

— რაეა არ გავხარებია, სახეზე ზები ამოგივი-

და! ამაზე მეტი მორიდება არ გაქ კაცის!

— მამა არ მომიტეტს, არ გამხარებოდეს.

ერთხელ კიდევ ასეთი შემთხვევა იყო: ელისაბედმა მოიშანა საიდანღაც ორი სხვა-და-სხვა ფერი ჩითის ნიმუში და აჩენა დედას—რომელი უჯობსო. ერთი ნიმუში იის ფერი იყო და ზედ იის ყვავილის მზგავსათ შავისახეები ჰქონდა ამოყვანილი; მეორე ჩითი კი მიწისფერი ვარდის სახე ლაქვარდი ყვავილებით იყო მოპებულელი. ხვარაშხემ ეს უკანასკნელი აიჩრია.

— მეც ავი ვარჩიე, მიემოწმა დედას ქალიშვილი.

— მე რომ მკითხოს კაცმა, ავი მირჩენია, თქვა მელანიამ და აჩენა იის ფერ ჩითზე.

— ამა ავი, ამის მეტი ზდილობა და მარადება არ გაქ! დედამ და შეიღმა ორივემ მიწის ფერი ვარჩიეთ, შენ მაინ-დამაინც—ის ფერი! ვითამ რაი, რალამც თქვენ მოგწონს, მე ვინზე აღარ მევიწონებო! თვარა ვინ იტყვის, შენს მეტი, მიწისფერს იის-ფერი უჯობსო! უთხრა მწაზე სიტყვებით რადღს მულმა.

ჩემი მარიდება რაღობა ექნება ახლა ვინმეს! ისეთი გულამჩვილებით თქვა ხვარაშხემ, თითქო ვისმეს დიდი შეურაცყოფა მიყენებოდა.

— არა, ქალბატონო, ესე, უწინერთ შეხედვაზე ვერ შევატყუე, თვარა სწორეთ მიწის ფერი უჯობს, საქაროთ გაისწორა თავის შეცდამა მელანიამ, რომელიც დარწმუნებულა იყო, რომ უნცროსი უფროსს ყოველივერში უნდა დაეთანხმოს, თორემ შეხედვობა იქნებოა. მართალია, მელანიას აჯერებდა ეს თვალმაქცობა: „რაც იგინს მოწონს, შენც იგი მიეწონე! ეაქო, ეგება არ მომწონს! არა, მაინც „კი“ თქვიო. ვაი, ვტყვი, მარა რა გამოვიდა ამით, ჩემ გულში მაინც არ მომწონს!“

მელანიას ჩვეულებათ ჰქონდა: როცა საქმეს გაათავებდა. დაჯდებოდა თავის ლოჯინზე ზანდუკთან ნიდავზე ზანდუკზე დაბაჯრდა, შემოიდგამდა თავზე ცალ-ხელს და სველიანათ დაფიქრებოდა. ეს ჩვეულება არ დარჩა შეუქმნეველათ, მეტადრე ელისაბედისაკან, რომელიც დედაზე და მამაზე ბევრით უფრო ფიზიკელი იყო ამისთანაობის შემჩნევაში.

— ნეტაი, რა ფორპაა, აი, გლოვიარეთ ჯდომა! საგლოვიარო ლეთის მადლით, ჯერ აფერი ქირს ჩვენს ოჯახს! შენიშნა ერთ დღეს ელისაბედმა მელანიას, როცა ეს უკანასკნელი მოწყენით იყო თავზე ხელ-შემაღებული და იჯდა თავის ზანდუკთან.

— აფერი, რაცეს ესე დავუქრადი— უპასუხა მელანიამ, ჩამოიღო თავიდან ხელი და ცდილობდა მხარული სახე მიეღო, მარა ვერ ახერხებდა.

\*) ისევე კვადი № 46

ელისაბედმა ამ ხელათ ზემოთქმული შენიშენით გაათავა ეს ლაპარაკი. მაგრამ დაისსომა კი ეს შემთხვევა. არ გასულა ამას შემდეგ ერთი კვირა, რომ იმან ნახა კიდევ რძალი დაღონებული და თავზე ხელშემოკლებული.

— რაა, კიდევ ასე გლოვიარეთ დამჯდარხარ! არა, ახლა თვარ მითხარი, რა გლოვა გაქ, არ გაგეყრიბი.

— აფერი, ესე ტყულაი — თქვა მელანიამ ადგა და აპირებდა წასვლას.

— სად მიხვალ, უწდა მითხრა.

— ღმერთი არ გამიწულეს, აფერი არ ყოფილიყოს.

— ააა, ასე ვერ მომატყუებ! რაცა ღიდ ამბავში ხარ მარა უნდა მითხრა, რა არის.

— რა იყო, ცავე? იკითხა ხეარამზემ, რომელიც ამ დროს შემოვიდა სახლში.

— რა იყო, — რას კვივია?! გამევიხედავ. ქე ეს აქნაი გლოვიარეთ, გამევიხედავ, ქე ეს! ახლა უნდა მითხრას, რა ამბავია; თქვა ელისაბედმა.

— გლოვა ჩემ მტრის ოჯახს დუბედოს! ჩემ რა გვირის საგლოვი! — თქვა ხეარამზემ და წყრომით შეხედა რძალს.

— დედა არ მომიკტეს არაფერი არ ყოფილიყოს, ესე ტყულაი ჩამომეყენითა, ფიცულობდა მელანია.

— ააა, სხვა ნაირობა ჩემ ოჯახში არ დევიანხოთვარა!.. მუქარით უთხრა ბოლოს ხეარამზემ.

იმ დღიდან მოწყებული მელანიამაც თავი დაანება ზანდუკთან თავზე ხელშემოკლებულ ჯდომას. როცა დაფიქრებული იყო, მელანია იმაღლებოდა დედამთილის და მულისაგან.

(შუადგო იქნება)

პასუხად ბ-ნ დოლიძისა \*)

გაღმარებული „ეკრისიდან“



ბატონი დოლიძე „ეკრისი“ პირით დაკეთხას „ეკრისის“ რედაქციას, — რა იქნა იგი სპიოთუქმანი ფული, რომელიც განსვენებულ ად.

\*) ეს წერბი უდავლობის გამო № 47 კერ დაიბეჭდა და რაც შეეხება გაზეთ „ეკრისის“ ჩვეულებრივ უსახუთო ღანბნვა-გინებას ჩვენ არა ერთსელ გაშვებულსა, რომ მასუხის გამცემი არა ვართ.

რედ.

რედაქტორ, გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განმცხადება

დაგზავნი საზოგადოება

იპკორი (ლუქს)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მანეთი აქვს, ვარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მიმერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაებისა და უძარების ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით, მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსაღების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განვიზარება მსურველს ტულისის საზოგადოების გამგებანაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისთვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუზნელის სახლში, თუ არა უთით საზოგადოების აგენტის აღუქსანდრე პეტრეს ძის ზაერივისაგან, რომელიც დგას ელიამინოვის ქუჩაზე № 2.